საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 56 2020 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №24 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**თამარ ზარანდია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოციირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ნუგზარ სხირტლაძე – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარი ლაღიძე – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი – საბჭოს მდივანი;

დავით ბოსტოღანაშვილი – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო ინასარიძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;

მაია მანწკავა – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ-ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

მორისი შალიკაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ირაკლი კოხრეიძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;

თამარ იოსელიანი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

ირმა ჭანტურია – შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.“.

გიორგი გახარია